საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

1623-01-2-201705151910

N 01/1623
15/05/2017

ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონსულტაციის მიზნით გიგზავნით ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ წინადადებას.

გთხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განიხილოთ აღნიშნული წინადადება საკრებულოს სხდომაზე და წერილობით მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები.

დანართის სახით წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტების გაერთიანების საჭიროების დასაბუთება;
2. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელ მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების ჩამონათვალი;
3. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელ მუნიციპალიტეტში მოსახლეთა რაოდენობა;
4. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის სქემატური რუკა;
5. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრი;
6. გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტი;

დანართი: 10 ფურცელი, 2 excel-ის ფაილი.

კახაბერ გულედანი

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ. ამბროლაური, მერაბ კოსტავას ქ. №22ა; Merab Kostava, Ambrolauri 22ª ტელ. 599 17 99 03

N 68
23/05/2017

68-05-2-201705231440

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო

კომისიის თავმჯდომარეს ბატონ კახაბერ გულედანს

ბატონო კახაბერ,

თქვენი 2017 წლის 15 მაისის N 01/1623 წერილისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გიგზავნით 2017 წლის 18 მაისის ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პირველი მოწვევის საკრებულოს ოთხმოცდამეთვრამეტე რიგგარეშე სხდომის N11 ოქმს ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ წინადადების განხილვის თაობაზე.

დანართი 5(ხუთი) ფურცელი თან ერთვის

პატივისცემით,

ასლან საგანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პირველი მოწვევის საკრებულოს
ოთხმოცდამეთვრამეტე რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 11

ქ.ამბროლაური 18 მაისი 2017 წელი

2017 წლის 18 მაისს გაიმართა ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პირველი მოწვევის საკრებულოს ოთხმოცდამეთვრამეტე რიგგარეშე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე.

საკრებულოს 15 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 14 წევრი: ასლან საგანელიძე, დავით ვაჩაძე, ელეონორა ბედენაშვილი, გოჩა ხუციძე, მამუკა ქემოკლიძე, რევაზ თომაძე, ფიქრია კობახიძე, გიორგი ლაიშვილი, ირაკლი კობახიძე, ალექსანდრე ქემოკლიძე, გოჩა დონაძე, მალვინა თედორაშვილი, ბაქარ გობეჯიშვილი, მამუკა ლომთაძე. სხდომას აგრეთვე ესწრებოდა ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-ზვიად მხეიძე, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე-ირმა ფრუიძე, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი-ბელა აბაიშვილი, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი-თამარ ქევანაშვილი, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური სამსახურის ეკომიკური განყოფილების უფროსი-თეა ბენდელიანი, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ქონებისა და ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი-დავით დავითულიანი, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი-ბადრი დონაძე, ქალაქ ამბროლაურის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში- ნათია სოხაძე, მოქალაქე-მანანა ლომთაძე.

სხდომა დაიწყო 15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ ასლან საგანელიძემ დაადასტურა ქვორუმის არსებობა და წარადგინა ოთხმოცდამეთვრამეტე რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ კონსულტაციის მიზნით ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ წინადადების განხილვა.

მომხსენებელი ასლან საგანელიძე - ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომა გახსნა ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ასლან საგანელიძემ.

მომხსენებელმა ასლან საგანელიძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 15 მაისს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან (საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრო კომისიის თავმჯდომარე- კახაბერ გულედანი) კონსულტაციის მიზნით შემოვიდა N01/1627 წერილი ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ წინადადების განხილვის თაობაზე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

ასლან საგანელიძემ საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო წერილის შინაარსი და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა წერილში მოყვანილ იმ პუნქტებზე, სადაც მოყვანილია მუნიციპალიტეტების გაერთიანების საჭიროების დასაბუთება.

საკრებულოს თავმჯდომარემ ასლან საგანელიძემ მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ რეგლამენტის დაცვით დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომაზე განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ საკრებულოს ოპოზიციური პარტიის წევრები.

მამუკა ქემოკლიძემ (რესპუბლიკური პარტია) ისაუბრა დეცენტრალიზაციით, თვითმართველი ქალაქის შექმნით, დემოკრატიის ხარისხის ამაღლებაზე. აღნიშნა, რომ მთავრობის გადაწყვეტილება თვითმმართველობის გაყოფაზე კარგი იყო, თუმცა მოხდა ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდა შტატების გაზრდით, რაზეც ოპოზიციური პარტიის წევრები ხშირად საუბრობდნენ სხდომაზე. მერის ინსტიტუტი სიახლეა, რომელმაც ამ სამი წლის მანძილზე დააგროვა გამოცდილება, რომლის გამოყენება სამომავლოდ თვითმმართველი ქალაქის განვითარებას მეტად შეუწყობდა ხელს. სასურველი იყო შეცვლილიყო და დახვეწილიყო კანონმდებლობა გაყოფილი თვითმმართველობის განვითარებისათვის, საშემოსავლო გადასახადი დარჩენილიყო თვითმმართველობებში და მხოლოდ გათანაბრებითი ტრანსფერით მიღებული შემოსავალი არ ყოფილიყო თვითმმართველობების განსაკარგი, რითაც თვითმმართველობის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები მეტ პროგრამებს განახორციელებდნენ მათ ტერიტორიაზე ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად.

მალვინა თედორაშვილმა (ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული საქართველო) განაცხადა, თუ ეს შეხვედრა იმისათვის არის გათვლილი, რომ შეხვედრად დარჩეს, მაშინ ცხადია ყველაფერი ისე გადაწყდება, როგორც ხელისუფლებას ააქვს განსაზღვრული. მისთვის მისაღები იყო მუნიციპალიტეტის გაყოფა, რამაც აშკარად დიდი სიკეთეები მოუტანა ქალაქს. დღესდღეობით მას მიუღებლად მიაჩნია მთავრობის გადაწყვეტილება და მუნიციპალიტეტების გაერთიანების საკითხი. მისი აზრით წერილში მოყვანილი არგუმენტები შეერთების აუცილებლობას არ ადასტურებს.

ბაქარ გობეჯიშვილმა (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელია მუნიციპალიტეტების გაერთიანების საკითხი. მას სჯერა, რომ შინაგანად არავინ ეთანხმება ქალაქის სტატუსის გაუქმებას.

მამუკა ლომთაძემ (ლეიბოლისტური პარტია) აღნიშნა, რომ ქალაქი უნდა არსებობდეს ქალაქად და უნდა იყოს თვითმმართველი მუნიციპალიტეტი. რაც შეეხება გამოცდილებას მუშაობაში და შრომაში შეიქმნება.

დავით ვაჩაძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ ის ხელისუფლებაა ძლიერი, რომელსაც შეუძლია აღიაროს მის მიერვე გატარებული ამა თუ იმ რეფორმის ურყოფითი მხარეებიც და ხარვეზებიც. 2014 წლის რეფორმას ჰქონდა რა თქმა უნდა ბევრი დადებითი მხარე და ეფექტიც, მაგრამ ამავდროულად უარყოფითი მხარეებიც. ვერ გაამართლა ის მოლოდინი, რაც იყო განსაზღვრული და ყველაფერი ეს მკაფიოდ ჩანს ინფრასტრუქტურის სამინისტროდან გამოგზავნილ დოკუმენტაციაში. იგი შეეხო დასაქმების საკითხს, რაც არის ყველასთვის მნიშვნელოვანი ამ ცვლილებების ფონზე და აღნიშნა, რომ ამ კუთხით ხელისუფლებას აქვს მკაფიო და სწორი ხედვები. დასაქმდებიან ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ პროფესიონალიზმი, ინტელექტი, საქმისადმი ერთგულება და გამოცდილება. კადრების ოპტიმიზაციის საკითხი კი რეფორმის გატარება არ გატარების მიუხედავად აუცილებელი და გარდაუვალი იყო, რადგან ქვეყანა საჭიროებს სწრაფი ნაბიჯების გადადგმას ინფრასტრუქტურის, სოციალური და სხვა მიმართულებებით განვითარებისაკენ, ნაკლები ადმინისტრაციული ხარჯით და მაღალკვალიფიციური კადრით. მოსალოდნელი რეფორმა არ შეაფერხებს მუნიციპალიტეტის განვითარებას, რადგან ხელისუფლების მიდგომა არის სწორი და საუბარი ბიუჯეტის შემცირებაზე, პროექტებისა და პროგრამების შემცირებაზე არ არის. პირიქით ადმინისტრაციული ხარჯებიდან გამოთავისუფლებული თანხები მიმართული იქნება ამ კუთხით. იმისათვის, რომ საბოლოო ჯამში ქვეყანაში იყოს ძლიერი თვითმმართველი მუნიციპალიტეტები ამ მხრივაც მოსალოდნელ რეფორმაში ხელისუფლების მიდგომა სწორია, გაძლიერდეს მუნიციპალიტეტებში ადმინისტრაციული ერთეულები. საკრებულოებს მიეცეთ მეტი უფლებამოსილება იგივე საკადრო საკითხებში, აღმასრულებელ ორგანოებთან და სხვა. ის

რომ თითქოს მუნიციპალიტეტს უკეთ მართავს ორი ადგილობრივი ხელისუფლება ქალაქის და თემის არასწორია, რადგან სწორი საკადრო პოლიტიკით, სწორი მენეჯმენტით შეიძლება უფრო ეფექტურადაც განახორციელოს ერთიანი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ იგივე საქმიანობა. საბოლოო ჯამში რეფორმა გააძლიერებს მუნიციპალიტეტებს ფინანსურად, უკეთ კეთილმოეწყობა, როგორც ქალაქი ისე სოფლები, რაც წინაპირობაა იგივე ტურიზმის განვითარებისათვის, რასაც ბუნებრივია მოჰყვება ადამიანების დასაქმება კერძო სექტორში და შემოსავლების გაზრდა, რაც თვითმმართველობის ერთ-ერთი აუცილებელი მექანიზმია. აღნიშნა, რომ ხელისუფლება პასუხისმგებელია ქვეყანაში არსებულ ყველა მუნიციპალიტეტზე თანაბრად და თუ უნდა ჰქონდეს დაუშვათ ქალაქ ამბროლაურს სტატუსი, რატომ არ უნდა ჰქონდეს სტატუსი ზესტაფონს, ბოლნის და სხვას. ამის ფინანსური რესურსი კი სახელმწიფოს სამწუხაროდ არ გააჩნია.

გოჩა ხუციძემ საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს დეპუტატებს და დამსწრე საზოგადოებას მიმართა, რომ დღესდღეობით ჩვენ კი არ ვაკეთებთ შუამდგომლობას თვითმმართველობის კოდექსის მე-10- მუხლის შესაბამისად, არამედ გავდივართ კონსულტაციებს თვითმმართველობის კოდექსის მე-12-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის მიხედვით. ანუ მუნიციპალიტეტების გაერთიანების წინადადების შეთავაზება არ ხდება საკრებულოების მიერ, არამედ გაერთიანების წინადადებით მოგვმართა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ. გოჩა ხუციძემ ასევე აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა თავის დროზე არ დამდგარიყო ერთიანი მუნიციპალიტეტის გაყოფის საკითხი. ამით თავიდან იქნებოდა აცილებული ის მტკივნეული გადაწყვეტილებები, რაც შეიძლება მოჰყვეს ორი მუნიციპალიტეტის შეერთებას. კერძოდ მუნიციპალიტეტის გაყოფისას საჯარო სექტორში გაჩნდა სამუშაო ადგილები, რომლებიც ძირითადად დაკომპლექტდა ახალგაზრდა სპეციალისტებით, რომლებმაც შეიძინეს სამუშაო უნარ-ჩვევები და აღიჭურვენ შესაბამისი ცოდნა-გამოცდილებით. გაერთიანებას ბუნებრივია მოჰყვება კადრების შემცირება და შესაბამისად უმუშევრად დარჩენილმა კადრებმა დიდი ალბათობით შეიძლება დატოვონ მხარე და სამუშაოდ წავიდნენ დიდ ქალაქებში ან გაემგზავრონ უცხოეთში, რაც ისედაც ცუდ დემოგრაფიულ ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს. ფაქტია, რომ ქალაქ ამბროლაურში 2016 წლის მონაცემებით დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად დაფიქსირდა შობადობის უფრო მაღალი მაჩვენებელი სიკვდილიანობასთან შეფარდებით. ხოლო ბოლო სამი წლის მანძილზე ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა 25 %-ით, ამას მოსახლეობის უმეტესობა აღიქვამდა ქართული ოცნების ხელისუფლების ზრუნვად, მთის კანონის და სხვა ნორმატიული აქტების შედეგად გამოწვეული სიკეთეებით. მათ შორის მუნიციპალიტეტის გაყოფით გამოწვეული რეფორმის შედეგებით. თუმცა აღსანიშნავია ის სერიოზული უხერხული გარემოებანიც, რომლებიც წარმოშვა მუნიციპალიტეტების გაყოფამ. კერძოდ, თემის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია, როგორც აღმასრულებელის, ასევე წარმომადგენლობითის აღმოჩნდა სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციას გავიტანთ თემის ნებისმიერ სოფელში, ამ შემთხვევაშიც მოქალაქეს მოუხდება სხვა მუნიციპალიტეტის (ქ. ამბროლაური) ტერიტორიის გავლა იმისათვის, რომ მოხვდეს თავის ადმინისტრაციაში. ქ. ამბროლაური ბუნებრივადაა ცენტრი ორივე მუნიციპალიტეტისათვის და ხელოვნური გაყოფა არღვევს ამ ჰარმონიას. ამასთან წარმოდგენილ დასაბუთებაში მოყვანილი ფაქტები რეალურია და ამას ვხედავთ ჩვენს მაგალითზეც. კერძოდ თემის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი აღსაზრდელები, სპორტსმენები და სახელოვნებო სფეროში დაკავებული ბავშვები სარგებლობენ ქალაქ ამბროლაურის სერვისებით, რაშიც იხარჯება სხვა მუნიციპალიტეტის ფინანსები. ამავე დროს ქვეყნის მასშტაბით არაა მიზანშეწონილი სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედებდეს განსხვავებული მიდგომები თვითმმართველობების მოწყობისა. ეს დისპროპორცია, რომლებიც წარმოიშვა 7 მუნიციპალიტეტის გაყოფის შედეგად გასასწორებელია ან ერთი, ან მეორე მიმართულებით. ამდენად ყველა ფაქტორის გათვალისწინებით რეფორმა განსახორციელებლად მიმაჩნია, რადგან რაც უმთავრესია გაერთიანებულ მუნიციპალიტეტს შეუნარჩუნდება და პირიქით კიდევაც გაეზრდება ის ფინანსური რესურსი, რაც დღესდღეობით გააჩნია ორივე მუნიციპალიტეტს.

გოჩა დონაძემ, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ „დემოკრატია“ პირდაპირი გაგებით ხალხის მართველობას ნიშნავს. ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გაბედა ამ რეფორმის განხორციელება, დეცენტრალიზაციას ვგულისხმობ. მე პირადად ძალიან გამიხარდა, რომ ბოლოს და ბოლოს ამ ხელისუფლებამ გადადგა ეს ნაბიჯი და იმედი მქონდა რეფორმა შემდეგ ეტაპზე გადავიდოდა, ხელისუფლება აღიარებს რომ რეფორმა მოუმზადებელი იყო და დარღვეული იყო სამართლიანობის პრინციპი. მაგალითად რატომ უნდა ქონდეს 2 500 კაციან ამბროლაურს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი და რატომ არ უნდა ჰქონდეს 100000 კაციან ბოლნისს. ხელისუფლებამ აღიარა რომ სრული რეფორმისათვის ვერ მოესწრო საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ამბობს რომ პროექტი ამ წლის ბოლომდე დაიხვეწება და შევა პარლამენტში განსახილველად. მე მესმის რომ პოლიტიკურად ეს ურთულესი რეფორმაა თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ეთნიკურ რეგიონებს.

ასლან საგანელიძემ აღნიშნა, რომ 2006 წელს წინა ხელისუფლებამ განახორციელა თვითმმართველობის რეფორმა, ერთი ხელის მოსმით გააუქმა ასობით თვითმმართველობები და სოფლის რწმუნებულები ლამის ფოსტალიონებად აქცია და აზრი არა თუ საზოგადოებისთვის, არამედ საკრებულოებისთვისაც კი არ უკითხავთ, ხოლო 2014 წლის რეფორმის დროს საზოგადოების და მაშინდელი თვითმმართველობების ჩართულების მიუხედავად რეფორმა (მუნიციპალიტეტტების გაყოფა) მაინც ნაჩქარევი იყო. გაყოფის შედეგად მიღებულ მუნიციპალიტეტებში ჯერ კიდევ ქონების გაყოფა ბოლომდე დასრულებული არ არის, არის კიდევ სხვა პრობლემებიც. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საპილოტე რეფორმამ ბევრ სიკეთეებთან ერთად გარკვეული პრობლემებიც შექმნა. თავის დროზე როდესაც რეფორმაზე (გაყოფამდე) მიდიოდა მსჯელობა, ამბროლაური, როგორც სამხარეო ცენტრი, ამის გამო მოხვდა გასაყოფ მუნიციპალიტეტებს შორის. სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში ბევრისათვის გაურკვეველია რატომ არა აქვს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მაგალითად ბოლნისს, ზესტაფონს ან თუნდაც ქობულეთს, რომელიც მოსახლეობით გაცილებით მრავალრიცხოვანია ვიდრე ამბროლაური. აღსანიშნავია ერთი მთავარი ფაქტორი, ჩვენ ვფიქრობთ და ვიხედებით ჩვენი ქალაქის ინტერესებიდან, ხოლო ხელისუფლება მთელ ჩვენს ქვეყანაზეა პასუხისმგებელი და რეფორმებიც ობიექტურობის სრული დაცვით უნდა განახორციელოს.

ის რისი გაკეთებაც ჩვენი ქალაქის, თუ თემის მუნიციპალიტეტში შესაძლებელი გახდა, განპირობებული იყო ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერებით, რომელიც საკმაოდ სოლიდურია. წერილში, რომელიც ჩვენ მივიღეთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან, ცალსახად წერია, რომ დღეს არსებული დაფინანსება შენარჩუნებული იქნება შერწყმის შემდეგაც, ასევე მკაფიოდ ჩანს რეფორმის სხვა სიკეთეები, რომელსაც ვიზიარებ და არანაირი ეჭვი არ მეპარება რეფორმის წარმატებაში.

გაიმართა კამათი. კამათში თანაბრად მონაწილეობდნენ საკრებულოს წევრები და დამსწრე საზოგადოება.

ირაკლი კობახიძემ, საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს იყო საპილოტე პროექტი, რომელის განხორციელებამაც ბევრი სიკეთე მოუტანა ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტს, რომ არ მომხდარიყო ორ მუნიციპალიტეტად გაყოფა მუნიციპალიტეტებს ვერ ექნებოდა ის ბიუჯეტები რაც დღესდღეობით აქვთ, რადგან გათანაბრებითი ტრანსფერის განაწილებას აქვს შესაბამისი ფორმულა და თვითმმართველ ქალაქებს განსხვავებული კოეფიციენტი. მან ასევე აღნიშნა, რომ ხელისუფლება პასუხისმგებელია ქვეყანაში არსებულ ყველა მუნიციპალიტეტზე და თუ უნდა ჰქონდეს ქალაქ ამბროლაურს სტატუსი რატომ არ უნდა ჰქონდეს სტატუსი ზესტაფონს, ბოლნისს და სხვას. მე მხოლოდ ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ინტერესების ვიწრო ჭრილიდან ვერ ვიმსჯელებ და თუკი მოხდება დაფინანსების შენარჩუნება, ან სულაც გაზრდა, დაიხვეწება სისტემა, განხორციელდება სწორი მენეჯმენტი მაქვს იმედი რომ გაამართლებს ახალი რეფორმა. მადლობა ხელისუფლებას მუნიციპალიტეტების გაყოფის საპილოტე რეფორმისათვის, რაც აშკარად დაეტყო ქალაქს და ბევრი კარგი საქმე გაკეთდა ამ სამი წლის განმავლობაში.

ფიქრია კობახიძემ, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“ წევრმა აღნიშნა, რომ გარდა გაყოფილი თვითმმართველობებისა დღესდღეობით არ არის არცერთი თვითმმართველობა რომლებმაც არანაკლები საქმე გააკეთა.

საკრებულოს ფრაქცია ,, ქართული ოცნება“ თავმჯდომარე გიორგი ლაიშვილი იზიარებს მუნიციპალიტეტების შეერთების შემდეგ რეფორმის აღნიშნულ იმ პლიუსებს, რომელიც გაერთიანების შემდეგ შესრულდება.

ელეონორა ბედენაშვილმა, საკრებულოს წევრმა დააფიქსირა თავისი აზრი, რომ ეს იყო შესანიშნავი საპილოტე რეფორმა, რომელიც ქალაქს დაეტყო. მისი აზრით აუცილებელია მოხერხდეს კადრების შენარჩუნება. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დემოგრაფიულ პრობლემებზე და ახალგაზრდებისათვის სამსახურის შენარჩუნების საკითხზე.

მოქალაქე მანანა ლომთაძემ არ გაიზიარა მოყვანილი არგუმენტები, რომელიც მუნიციპალიტეტის გაერთიანებას შეეხებოდა და აღნიშნა, რომ მოსაზრებებში არ იყო კარგად გამოხატული ადგილობრივი პრობლემები.

სხდომის თავმჯდომარემ ასლან საგანელიძემ განმარტა, ჩვენ ვმსჯელობთ შემოსულ წერილზე და არა კანონპროექტზე. ეს კონსულტაციის მიზნით გამართული საკრებულოს სხდომაა, სადაც განხილება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის წინადადება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის შესაბამისად ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის თაობაზე. ჩვენ არ ვიღებთ გადაწყვეტილებას, შესაბამისად არანაირი სამართლებრივ აქტს საკრებულო არ გამოსცემს.

საკრებულოს წევრების უმრავლესობა იზიარებს რეგიონული სამთავრობო კომისიის მიერ წარმოდგენილ პოზიციას ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების გაერთიანების და ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ასლან საგანელიძემ საკრებულოს ოთხმოცდამეთვრამეტე რიგგარეშე სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

სხდომა დასრულდა 17:10 საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

1621-01-2-201705151909

N 01/1621
15/05/2017

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონსულტაციის მიზნით გიგზავნით ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ წინადადებას.

გთხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განიხილოთ აღნიშნული წინადადება საკრებულოს სხდომაზე და წერილობით მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები.

დანართის სახით წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტების გაერთიანების საჭიროების დასაბუთება;
2. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელ მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების ჩამონათვალი;
3. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელ მუნიციპალიტეტში მოსახლეთა რაოდენობა;
4. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის სქემატური რუკა;
5. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრი;
6. გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტი;

დანართი: 10 ფურცელი, 2 excel-ის ფაილი.

კახაბერ გულედანი

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 124
19/05/2017

124-04-2-201705191614

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფასტრუქტურის სამინისტროს
საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ კახაბერ გულედანს

ბატონო კახაბერ,

თქვენი 2017 წლის 15 მაისის N01/1621 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2017 წლის 17 მაისს საკრებულოს სხდომაზე განიხილა და მოიწონა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის წინადადება ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ.

გიგზავნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობით მოსაზრებას.

დანართი: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 მაისის N10 (რიგგარეშე) სხდომის ოქმის ამონაწერი 4 ფურცელი.

პატივისცემით,

ერასტი მეტრეველი

საკრებულოს თავმჯდომარე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

0400, ქ. ამბროლაური, *ბრატისლავა-რაჭის ქ. N11;* ambrolaurisakrebulo@yahoo.com; ტელ. 595 14 41 84

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პირველი მოწვევის საკრებულოს (რიგგარეშე) სხდომის N10 ოქმიდან

ქ. ამბროლაური, ბრატისლავა რაჭის ქ. N11 *17 მაისი, 2017 წელი (12:00 სთ)*

საკრებულოს სრული შემადგენლობა – 33 წევრი.

საკრებულოს სიითი შემადგენლობა – 33 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე: ერასტი მეტრეველი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი: ერასტი მეტრეველი, ტარიელ ბაკურაძე, მამუკა თომაძე, მამუკა მეტონიძე, დავით გოგსაძე, ბეჟანი დარახველიძე, სიმონ ჭელიძე, ლერი გელოვნიშვილი, ლევან მეტონიძე, ნინო სოხაძე, კობა კერესელიძე, ზაალ მეტრეველი, ილია ოშხერელი, ბესარიონ მურუსიძე, ელდარ ხუციშვილი, გიორგი დვალი, ირაკლი დვალი, რიჩარდ კიკვიძე, გიორგი ქარსელაძე, სოსო მელაშვილი, კახაბერ აბუთიძე, ბაკურ სანთელაძე, ბორის ფრუიძე, ზურაბ კაციტაძე, თამაზ ლომთაძე, იური გიორგობიანი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (წერილი N01/1621 15.05.2017წ; საკრებულოში რეგ. N94 16.05.2017წ) საქართველოს რეგიონული გავითარების სამთავრობო კომისიის წინადადების განხილვის თაობაზე

/მომხსენებელი ერასტი მეტრეველი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე/

1.მოისმინეს: ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (წერილი N01/1621 15.05.2017წ; საკრებულოში რეგ. N94 16.05.2017წ) საქართველოს რეგიონული გავითარების სამთავრობო კომისიის წინადადების განხილვის თაობაზე

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო წერილი და თხოვა თავიანთი მოსაზრებების გამოთქმა.

აზრი გამოთქვეს:

ტარიელ ბაკურაძე - (ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"): მუნიციპალიტეტების გაყოფა არასწორი გადაწყვეტილება იყო ვეთანხმები გაერთიანებას.

ბეჟანი დარახველიძე - (ფრაქცია „ქართული ოცნება"): პირადად მე 2014 წელს არ მომეწონა მუნიციპალიტეტის ორად გაყოფა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი სამედიცინო ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ ერთი ორგანიზმია და მისი გაყოფა არ შეიძლება. მუნიციპალიტეტის ორად გაყოფამ გამოიწვია პარალელური სტრუქტურების შექმნა, რასაც მოჰყვა ადმინისტრაციული ხარჯების საგრძნობლად გაზრდა. ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდამ კი გამოიწვია კაპიტალური ხარჯების მოცულობის შემცირება, რაც უარყოფითად აისახა მუნიციპალიტეტის შემდგომ განვითარებაზე.

დაპირება, რომ შეერთების შემდეგ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იქნება ამ ორი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამის ტოლი, საშუალებას მოგვცემს უფრო აქტიურად განვახორციელოთ ინფრასტრუქტურული პროექტები.

აქედან გამომდინარე, მე მომხრე ვარ ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების გაერთიანების.

ლევან მეტონიძე - (ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“): ეს მტკივნეული იქნება თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული თანამშრომლებისათვის, რომელთაც რეფორმის შემდეგ სამსახურის დატოვება მოუწევთ, თუმცა გაერთიანება ადმინისტრაციულ ხარჯებს შეამცირებს რაც დადებითად აისახება სახელმწიფო ფინანსებზე. შესაბამისად, გაერთიანებას ვეთანხმები.

ლერი გელოვნიშვილი - (ფრაქცია „ქართული ოცნება“): ყველაფერს აქვს თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეები. ვეთანხმები ჩემს კოლეგებს. ორივე მუნიციპალიტეტისათვის ტრანსფერის სახით გადასაცემი თანხა არ შემცირდება. ადმინისტრაციული ხარჯების ეკონომიის შედეგად დაზოგილი თანხები კი მიიმართება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე. აქედან გამომდინარე მომხრე ვარ მუნიციპალიტეტების გაერთიანების.

მამუკა თომაძე - (ფრაქცია „ქართული ოცნება“): განსახილველი წინადადებით დასაბუთებელია გაერთიანების განმაპირობებელი მიზეზები. საშუალო სამთავრობო დანახარჯი ერთ სულ მოსახლეზე ჩვენთან გაცილებით მაღალია, მომხრე ვარ სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებში იყოს. ვინაიდან გაერთიანება ხელს შეუწყობს აღნიშნული მიზნის მიღწევას, მხარს ვუჭერ.

იური გიორგობიანი - (ლეიბორისტული პარტია, ფრაქცია „თემი“) მე თავიდანვე არ მომეწონა განხორციელებული რეფორმა, რის გამოც ვეთანხმები გაერთიანებას.

ზურაბ კაციტაძე - (ფრაქცია „ქართული ოცნება“): მეც მომხრე ვარ, რომ გაერთიანდეს.

გია დვალი - (ფრაქცია „თემი“)გავეცანი და მომხრე ვარ, რომ გაერთიანდეს.

ბორის ფრუიძე - (ფრაქცია „ქართული ოცნება“): გავეცანი დოკუმენტს გაერთიანება კარგი და სასარგებლო უნდა იყოს ჩვენი მუნიციპალიტეტების მოსახლეობისათვის.

კახაბერ აბუთიძე - (ფრაქცია „ეგიდა“): უმუშევრობა, გამონთავისუფლებული ხალხის პრობლემაა, მაგრამ არა ტრაგედია, სწორი ეკონომიკური პოლიტიკით შევძლებთ განვითარდეს კერძო სექტორი, სადაც მოხდება დასაქმება. მუნიციპალიტეტების გაერთიანებას მხარს ვუჭერ.

ბესარიონ მურუსიძე - (ფრაქცია „ეგიდა“): მეც ასე ვფიქრობ რეალურია რომ გაერთიანდეს.

ირაკლი დვალი - (ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“): კოლეგებს ვეთანხმები.

ბაკური სანთელაძე - (ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“): რა თქმა უნდა მტკივნეული პრობლემაა გამოთავისუფლებული კადრები, თუმცა ესეც მოგვარდება. სიახლე უკან არ წაგვიყვანს, პირიქით წინ წაგვიყვანს და ვეთანხმები რა თქმა უნდა.

კობა კერესელიძე - (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) ჩემო მოკრძალებული აზრი არის ეს და საწყენია, რომ საქართველოში ყველა მთავრობა ფიქრობს არჩევნებიდან არჩევნებამდე როგორ მივიდეს. მუნიციპალიტეტების გაყოფა შეცდომა იყო და საარჩევნოდ გათვლილი. პირველივე წელს, ჩემი გამოთვლებით მხოლოდ ხელფასებში ორი მილიონ ოთხასი ათასით მეტი ლარი გადიოდა ვიდრე 2012-ში. ყველა საჭიროებს საარსებო წყაროს. თანამშრომლების 99%-ს საბანკო კრედიტი აქვს, რომლის გადახდაც შეუძლებელი გახდება მათთვის. როგორც თქვენ ამბობთ ტრანსფერი იგივე დარჩება, თუმცა მოვა 2018 წელი და თანხა აუცილებლად შემცირდება. მე წინააღმდეგი ვარ მუნიციპალიტეტების გაერთიანების.

მამუკა მეტონიძე - (ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“): ვერაფერს ვხედავ საგანგაშოს. ვეთანხმები გაერთიანებას.

ზაალ მეტრეველი - (ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“): ოცნება-კონსერვატორები“): მე თავიდანვე მოწინააღმდეგე ვიყავი გაყოფის მეჩვენებოდა, რომ ნაჩქარევი და სათანადოდ მოუმზადებელი იყო. მქონდა კითხვები ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის, კერძოდ ადმინისტრაციული ხარჯის შესახებ. მქონდა კითხვები შესაბამისი ინფრასტრუქტურის, ქონების, ტერიტორიული გამოჯვნის შესახებ. მე ამბროლაურში დავიბადე გავიზარდე და შესაბამისად იდეაში ქ. ამბროლაურის თვითმმართველ ქალაქად გარდაქმნასა და შენარჩუნებაში ცუდს ვერაფერს ვხედავდი და ვხედავ პირიქით.

მაგრამ სახელმწიფოებრივად მიდგომის კუთხით გაერთიანება მართებულად მიმაჩნია.

რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალურ შეხვედრას, რომელიც 01 მაისს გაიმართა, იქაც აღვნიშნე, რომ თავიდანვე ვიყავი ერთად-ერთი ოფიციალური პირი, მაშინდელი ადგილობრივი ხელისუფლებიდან, ვინც გაყოფის წინააღმდეგი წავიდა ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო აღვნიშნე ისიც, რომ თვითმმართველობის არსს გაყოფა ხელს არ უშლის, გამოვხატე გულისტკივილი, რომ შეერთების შედეგად შესაძლებელია სამსახურის გარეშე დარჩენილიყვნენ გარკვეული რაოდენობა მუნიციპალიტეტში დასაქმებული თანამშრომლებისა, თუმცა მათ შესაძლებლობა ექნებოდათ ჩართულიყვნენ სხვადასხვა პროექტებში, რომლებსაც დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს.

გამოვთქვი იმედი, რომ შეერთებისას არ იქნებოდა ისეთივე ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიღებული, როგორც გაყოფისას (სხვათაშორის, იქ მყოფი ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ალბათ ადგილობრივ არჩევნებამდე ეს არ მოესწრებოდა დროის მცირე მონაკვეთის გამო). არანაირი მოწოდება რევიზიაზე და მსგავსზე იქ არ ყოფილა და საიდან მოიტანეს შეხვედრის ოქმში ჩემი გამოსვლის შინაარსი მიკვირს. ერთი კი მოვუწოდე პატივცემულ ასოციაციას, რომ ამბროლაურის მაგალითის ცინიკურ კონტექსტში ბრუნვა ყველა შეხვედრის დროს შეეწყვიტათ და მეტი ყურადღება გამოეჩინათ ქალაქ ამბროლაურის მიმართ გამოთქმებში.

დავით გოგსაძე - (ფრაქცია „ქართული ოცნება“): ვეთანხმები ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების გაერთიანებას და ახალი მუნიციპალიტეტის შექმნას.

ნინო სოხაძე - (ფრაქცია „ეგიდა“): 2014 წელს, როცა ეს კანონი მზადდებოდა ჩვენ, თვითმმართველობის ასოციაციასთან, სადაც ჩვენი ექსპერტი იყო დღევანდელი პარლამენტის თავმჯდომარე, მოვამზადეთ ალტერნატიული კანონპროექტი, მე ვიცოდი, რომ ეს დღე დადგებოდა იმიტომ, რომ რეფორმა არ იყო გამყარებული ფინანსებით და ქონებით. მართალია, მტკივნეულია რომ შეიძლება თვითმმართველობაში დასაქმებული ბევრი ადამიანი დარჩეს უმუშევარი, მაგრამ მუნიციპალიტეტების გაერთიანებას ვეთანხმები.

ილია ოშხერელი - (ფრაქცია „ქართული ოცნება“): მე გაყოფას ვეწინააღმდეგებოდი, თავისთავად გამოდის, რომ ვეთანხმები შეერთებას, საინტერესოა გაერთიანების პროცესი როგორ წარიმართება.

რიჩარდ კიკვიძე - (ფრაქცია „ქართული ოცნება“): წინააღმდეგი არ ვარ, ვეთანხმები.

სოსო მელაშვილი - (ფრაქცია „ქართული ოცნება“): ყველა წამოწყებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დაპირებისამებრ ბიუჯეტი არ შემცირდება, ეს იმას ნიშნავს, რომ სწორი გადწყვეტილებაა ცხადია ვეთანხმები.

სიმონ ჭელიძე - (ფრაქცია „თემი“): მე ვეთანხმები გაერთიანებას.

გორდა სანიკიძე: ვეთანხმები.

ელდარ ხუციშვილი - (ფრაქცია „ქართული ოცნება“): დოკუმენტს გავეცანი, ცალსახადაა დასაბუთებული გაერთიანების საჭიროება მომწონს შემოთავაზებული პროექტი.

გიორგი ქარსელაძე - (ფრაქცია „ქართული ოცნება“): ვეთანხმები მუნიციპალიტეტების გაერთიანებას.

ერასტი მეტრეველი - (ფრაქცია „ქართული ოცნება“): მეც მინდა ჩემო პოზიცია გამოვხატო საკითხთან დაკავშირებით. 2014 წელს, როცა მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის გაყოფის საჯარო განხილვა, პირადად მე ვეწინააღმდეგებოდი ამბროლაურის რამდენიმე მუნიციპალიტეტად დაყოფას. ჩვენი ხედვა უნდა იყოს სახელმწიფოებრივი. ადმინისტრაციული ხარჯის ეკონომიის პარალელურად აუცილებელია განვავითაროთ კერძო სექტორი. მუნიციპალიტეტმა გამოყოს ასი-ასორმოცდაათი ათასი ლარი ადგილობრივი მცირე მეწარმეების თანადაფინანსების მიზნით.

მე მხარს ვუჭერ ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების გაერთიანებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის წინადადებას, ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით არჩეულმა დეპუტატმა თამაზ ლომთაძემ.

კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა - 25;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 24; წინააღმდეგი - 1.

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის წინადადება, ქალაქ ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე ერასტი მეტრეველი

ს წ ო რ ი ა

საკრებულოს აპარატის უფროსი

19.05.2017წ

საიდენტიფიკაციო ნომერი	კატეგორია	დასახლების დასახელება / ადმინისტრაციული ერთეული	ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი დასახლებები
222937473	ქალაქი	ამბროლაური	
222937464	სოფელი	ბუგეული	სოფელი: ბუგეული, აბანოეთი, ბარეული, გორისუბანი, ქედისუბანი, ჯვარისა
222937464	სოფელი	ველევი	სოფელი: ბეთლევი, ველევი, კვირიკეწმინდა, შხივანა
222937464	სოფელი	ზნაკვა	სოფელი: ზნაკვა, მოტყიარი, საკეცია
222937464	სოფელი	იწა	სოფელი: ახალსოფელი, გორი, ზემო კრიხი, ქვემო კრიხი, შუა კრიხი, იწა
222937464	სოფელი	ლიხეთი	სოფელი: აბარი, ლიხეთი, ურავი
222937464	სოფელი	ნამანევი	სოფელი: შავრა, თხმორი, ნამანევი, ხონჭიორი
222937464	სოფელი	ნიკორწმინდა	სოფელი: კაჩაეთი, ნიკორწმინდა, ხარისთვალი
222937464	სოფელი	სადმელი	სოფელი: ბოსტანა, კლდისუბანი, სადმელი, ღვიარა, ძირაგეული
222937464	სოფელი	სხვავა	სოფელი: სხვავა, ფუტიეთი
222937464	სოფელი	ღადიში	სოფელი: ბაჯი, პატარაონი, ტბეთი, ქვედა შავრა, ღადიში
222937464	სოფელი	ცახი	სოფელი: გოგოლათი, ზედა ღვარდია, ქვედა ღვარდია, ცახი
222937464	სოფელი	წესი	სოფელი: მუხლი, წესი
222937464	სოფელი	ჭელიაღელე	სოფელი: აგარა, ზედა თლუღი, უყეში, ქვედა თლუღი, ჭელიაღელე
222937464	სოფელი	ჭრებალო	სოფელი: გენდუში, ზემო ჟოშხა, ქვემო ჟოშხა, ჭრებალო
222937464	სოფელი	ჭყვიში	სოფელი: ზედა ჭყვიში, ქვიშარი, ჭყვიში
222937464	სოფელი	ხვანჭკარა	სოფელი: დიდი ჩორჯო, პატარა ჩორჯო, მეორე ტოლა, პირველი ტოლა, ხვანჭკარა
222937464	სოფელი	ხიდიკარი	სოფელი: კვაცხუთი, ხიმში
222937464	სოფელი	ხოტევი	სოფელი: სხარტალი, წკადისი, ხოტევი

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონალური შეხვედრა - ქალაქი ამბროლაური
1 მაისი 2017

რეგიონალურ შეხვედრას ესწრებოდნენ დავით მელუა, ექსპერტები დავით ზარდიაშვილი, მიხეილ ჯიბუტი და გაეროს განვითარების პროექტის ექსპერტი ალექსანდრე სვანიშვილი, ასევე რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები/გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები, ასვე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

შეხვედრა გახსნა ბატონმა დავით მელუამ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას და ამ მიზნით სამინისტროს (რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის) ახალმა ხელმძღვანელობამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლემაც უნდა მოამზადოს ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი". დავით მელუამ აღნიშა რომ, სამუშაო ჯგუფები იმუშავებენ 4 მიმართულებით, ესენია: მმართველობითი სისტემის და ფინანსური ეფექტიანობის გაზრდა, მოქალაქეთა მონწილეობის გაზრდა ადგილობრივი თემების დონეზე, სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა. მან ასევე აღნიშნა რომ, მოწვეული ექსპერტები ყველა ამ მიმართულებაზე გააკეთებდნენ პრეზენტაციას და თივითმმართველობის წარმომადგენლებს სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები.

დავით ზარდიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება ტერიტორიული მართვის საკითხებზე და მათ შორის ცალკეული დასახლებული პუნქტებისთვის, 2014 წელს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების გამოცდილების შესახებ (პრეზენტაცია იხილეთ დანართში).

პრეზენტაციის შემდეგ სიტყვით გამოვიდა თვითმმართველი ქალაქის ამბროლაური მერი რატი ნამგალაძე. რომელმაც აღნიშნა რომ 2014 წლიდან ქალაქი წელში გაიმართა. მოხდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ქალაქის იერსახის წესრიგში მოყვანა ადგილობრივ მოსახლეობას მომავლის იმედი დაუბრუნდა, უფრო მეტიც 2014 წლის შედეგ 500 ადამიანი დაბრუნდა თბილისიდან ამბროლაურში. მან აღნიშა რომ ხარჯების ეფექტიანობის მიზეზით, დაგეგმილია ქალაქ აბროლაურისთვის სტატუსის ჩამორთმევა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა ვერ გაიგებს და ვერც აპატიებს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფელბას. ყველა ის არგუმენტი ადმინისტრაციულ ხარჯთან დაკავშირებით რაც გამოთქმულია სხვადასხვა პირების მიერ არის სრულიად უსაფუძვლო და არასწორი, ამბროლაურში არანაირი ხარჯები გაბერილი არ არის და ქალაქის სამსახურები ასევე ემსახურებიან სოფლებს როგორც ქალაქს და მათ ძალზე კარგი თნამშრომლობა აქვთ.

დავით ზარდიაშვილმა მოახდინა ცხრილის დემონსტრირება სადაც ნაჩვენები იყო სამთავრობო ხარჯი ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს თვითმმართველ ერთეულებში და აღნიშნა, რომ მაშინ როდესაც საქართველოში საშუალო სამთავრობო დანახარჯი ერთ სულ მოსახლეოე არის 700 ლარის ფარგლებში, ამბროლაურში ეს ციფრი 2000 ლარზე მეტია, რაც დისპროპორციული და უსამართლო სისტემაა. დავით ზარდიაშვილმა ასევე წარადგინა, საქალაქო დასახლების ევროპული კრიტერიუმი და მათი შესაბამისობა 7 თვითმმართველ ქალაქთან.

ზაალ მეტრაველმა (ამბროლაური თემის საკრებულოს წევრი) აღნიშნა, რომ ის მხარს უჭერს ქალაქ ამბროლაურისთვის სტატუსის შენარჩუნებას და მისი რწმენით ასოციაციის ექსპერტების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები არ უწყობს ხელს არც დეცენტრალიზაციას და არც რაჭის განვითარებას. შესაბამისად, 7 ქალაქისთვის თვითმმართველი ერთეულის სტატუსი წართმევა იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი. მან აღნიშა რომ ამბროლაურის თემის საკრებულო მხარს უჭერს ამბროლაურისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის შენარჩუნებას და ყველას მოუწოდებს არ მოახდონონ იმის რევიზია რომ 2014 წლის თვითმმართველობის რეფორმა იყო წინგადადგნული ნაბიჯი. შესაბმისად მან მოუწოდა ასოციაციას რომ მთავრობას ურჩიოს, ნუ იქნება ნაჩქარევი და გაუზარებელი გადაწყეტილებები მიღებული.

ქალბატონმა ციცინო გოგილაძემ აღნიშა რომ, თუ ქალაქს არ ექნება თვითმმართველი სტატუსი მაშინ რაჭა ისევ არ იქნება და დაიცლება, ამიტომიც სხვა ყველა წინანდადების განხილვა სრულაიად მიუღებელია.

ბატომა ასლან საგანელიძემ ასოციაციას სთხოვა რომ იმუშაოს სამინისტროსთნა რათა მოხდეს ამბროლაურისთვის სტატუსის შენარჩუნება. მისი აზრით, კარგი იყო ის მოდელი სადაც ქალაქსაც და სოფელსაც ჰქონდათ თვითმმართველობა და ალბათ ამ მიმართულებით უნდა წავიდეს ჩვენი სახელმწიფო. ამიტომ ამ ეტაპზე დიდ ქალაქებს მიეცეთ მეტი უფლებები, ასევე შეიძლება თემთან მოხდეს სამსახურების გაერთიანება მაგრამ ქალაქი (ამბროლაური) როგორც ცალკე თვითმმართთველი ერთეული უნდა შენარჩუნდეს

შემდეგი პრეზენტაცია გააკეთა მიხეილ ჯიბუტმა. რაც შეეხებოდა სოფლოდ მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერებას და სოფლებში ტერიტორიული ორგანოს დაბრუნებას და მრჩეველთა საბჭოს შექმნას.

მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას და აღნიშნეს რომ სოფლებში ტერირტორიული ორგანოების შექმნა ერთობ გააიოლებდა მართვის პროცესს და ასევე მოწონებულ იქნა, მრჩეველთა საბჭოს, როგორც ადგილობრივი საკონსულტაციო ორგანოს არსებობა.

ბატონმა რევაზ ბენაძემ (ცაგერის გამგებელი) გამოთქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია თვითმმართველი ერთეულების შემდგომი გაძლიერება, მათთვის შესაბამისი ფუნქციების, ქონების და ფინანსების გადაცემა. მან აღნიშნა, რომ უფუნქციო თვითმმართველობა გინდ ქალაქში იყოს გინდ სოფელში თავის ამოცანას ვერ შეასრულებს. დარბაზის რეპლიკაზე უჭერდა თუ არა მხარს ქალაქ ამბროლაურის შენარჩუნებას? მან უპასუხა, რომ მხარს უჭერს ამბროლაურს ჰქონდეს ძილერი თვითმმართველობა.

ონის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი ლობანიძემ აღნიშა, რომ აუცილებელია საჯარო სახსრების თანაბარი გადანაწილება, იმ შემთხვევაში როცა ქალაქ ამბროლაურს აქვს 4 მილიონიანი ბიუჯეტი აუცილებელია ქალაქ ონს მიეცეს დაფინანსება 1 მილიონი მაინც, იმაზე დამატებით რასაც დღეს ონის მუნიციპალიტეტს ეძლევა ცენტრალური ბიუჯეტიდან. ჩვენ არ ვითხოვთ ცალკე სტატუსს ქალაქ ონისთვის მაგრამ ვითხოვთ 1 მილიონის დაფინასებას მაინც. მოგვეცემს საშუალებას რომ ქალაქი მოვაწესრიგოთ. ამ თანხას ჩვენ ეფექტიანად გამოვიყენებთ და არ შევქმნით არც დასახლების და არც ადმინისტრაციის კუთხით პრობლემებს.

ცაგერის გამგებელმა დააყენა გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულის გადახედვის საკითხი და აღნიშნა, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების თანაბარ განვითრებას.

ალექსანდრე სვანიშვილმა გააკეთა მოსხსენება სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის ცვლილების შესახებ და აღნიშნა, რომ ამ სისტემაში კვლავ ბრუნდება გუბერნატორის როლი და ფუნქცია რომელიც იქნება გამტარი რგოლი თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ, გუბერნატორის აპარატში ზედამხედველობის ფუქციის დაბრუნება მნიშვნელოვნად გააიოლებს თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების ზედამხედველობას და დიდ დროს დაზოგავს.

დასკვნის სახით მონაწილეებიმა ქალაქ ამბროლაურიდან დაჟინებით მოთხოვეს, რომ ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ (და არა ექსპერტებმა) გააკეთონ მკაფიო განცხადება და დაიცვან ქალაქი ამბროლაური რომელიც არის ასოცაციის წევრი. აღინიშნა, რომ მათ არ სურთ იმ ექსპერტების მოსმენა რომელიც წინასწარ მიღებული გადაწყვეტილების მათთვის თავზე მოსახვევად არიან ჩამოსული. ამ განცხადებების შემდეგ სხდომა უკონტროლო კამათში გადაიზარდა და სხდომის წამყვანის მიერ დახურულად გამოცხადდა იმ დათქმით, რომ ის ასოციაციის პრეზიდენტს მოახსენებს აღმასრულებეული საბჭოს მოწვევის მოთხოვნის შესახებ და ქალაქ ამბროლაურის საკრებულოს თავმჯდომარეს (რომელიც არის აღამასრულებელი საბჭოს წერვრი) ექნება საშუალება დააყენოს საკითხი ამ სხდომაზე.

მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის სახელწოდება და მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრი

	გასაერთიანებელი მუნიციპალიტეტები	მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის სახელწოდება	მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრი
1	ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი და ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	ქალაქი ამბროლაური

მოსახლეობის რიცხოვნობა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	სულ	სულ შესაქმნელ მუნიციპალიტეტში
ქ. ამბროლაური	2,0	10,7
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	8,7	


ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სქემატური რუკა
N
ურავი
აბარი
ლიხეთი
გენდუში
ზემო ჟოშხა
ზედა ჭყვიში
ქვემო ჟოშხა
მეორე ტოლა
პირველი ტოლა
ჭყვიში
ჭრებალო
ხვანჭკარა
ქვიშარი
ქვედა შავრა
პატარა ჩორჯო
ბაჯი
ღადიში
ბარეული
დიდი ჩორჯო
ბოსტანა
ლვიარა
ჯადმელი
ბუგეული
ქვედა ლვარდია
ზედა ლვარდია
ტბეთი
გორისუბანი
აბანოეთი
კლდისუბანი
ბიორაგეული
კვაცხუთი
წესი
მუხლი
ხიმში
საკეცია
პატარაონი
ცახი
გოგოლათი
ჯვარისა
ამბროლაური
იწა
გორი
ქედისუბანი
ზნაკვა
მოტყიარი
ახალსოფელი
შუა კრიხი
სხვავა
ფუტიეთი
ქვემო კრიხი
ზემო კრიხი
შავრა
ნამანევი
ხონჭიორი
თხმორი
კვირიკეწმინდა
კაჩაეთი
ხოტევი
ჭელიაღელე
ნიკორწმინდა
აგარა
წკადისი
ქვედა თლუღი
ზედა თლუღი
ველევი
ბეთლევი
შხივანა
უცეში
სხარტალი
ხარისთვალი
პირობითი აღნიშვნები
დასახლებული პუნქტი
მუნიციპალიტეტის საზღვარი
საავტომობილო გზა
მდინარე